საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01- 11/7

ქ. ბათუმი 01 თებერვალი, 2018 წ.

,,ბსუ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვისა და ოფიციალური ვებგვერდის ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ- ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 14 ივნისის N01-11/47 ბრძანებაში დამატებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23–ე, 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე–15 მუხლის და ,,ბსუ-ს სტუდენტური სერვისების ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 1 თებერვლის N01-08/17 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,ბსუ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვისა და ოფიციალური ვებგვერდის ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 14 ივნისის N01-11/47 ბრძანებაში შევიდეს დამატებები, კერძოდ, ბრძანებით დამტკიცებული წესის:

ა) მე-4 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,ნ“ ქვეპუნქტი:

,,ნ) სტუდენტური სერვისების მართვის ელექტრონული სისტემა (portal.bsu.edu.ge).“;

ბ) მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6-7 პუნქტები:

,,6. ბსუ-ში დანერგილი სტუდენტური სერვისების მართვის ელექტრონული სისტემის -,,სტუდენტური პორტალი“-ს ადმინისტრირება, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად ხორციელდება ბსუ-ს ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურის მიერ, ხოლო პორტალის ტექნიკური ნაწილის გამართულ ფუნქციონირებას კოორდინაციას უწევს ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური.

7. სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახური სტუდენტური პორტალის ადმინისტრირების მიზნით:

ა) ახორციელებს პორტალზე მომხმარებელთა რეგისტრაციის გამართულობის კონტროლს (საჭიროების შესაბამისად დახმარებას უწევს მომხმარებელს);

გ) ახდენს პორტალზე ბსუ-ს სტრუქტურული ერთეულის/დასაქმებულის დამატებას/რედაქტირებას/წაშლას;
გ) ახორციელებს ბსუ-ში მოქმედი სტუდენტური სერვისების ელექტრონულ ფორმატში გადატანას;
დ) კოორდინაციას უწევს წინამდებარე წესის 2.1. და 2.2. ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სერვისების ეფექტურ ხელმისაწვდომობას;
ე) პასუხისმგებელია ბსუ-ს მოკლეტექსტური შეტყობინებების მიზნობრიობის განსაზღვრაზე და კოორდინაციას უწევს მათი ადრესატებამდე დაგზავნის პროცესს;
ვ) კოორდინაციას უწევს ბსუ-ში მოქმედ საგანმანათლებლო/სამეცნიერო/კულტურულ ან/და სპორტულ ჯგუფებში სტუდენტთა ელექტრონულ რეგისტრაციას და შესაბამისი ინფორმაციის ბსუ-ს მართვის ორგანოებისათვის მიწოდებას;
ზ) ახორციელებს წინამდებარე წესის 2.3. პუნქტში მითითებული ინფორმაციის მოძიებას/საჭიროების შემთხვევაში თარგმნას და პორტალზე განთავსებას;
თ) ახდენს პორტალზე ბსუ-ს კურსდამთავრებულთა და პოტენციურ დამსაქმებელთა დამატებას/რედაქტირებას/წაშლას;
ი) ახორციელებს შიდა საუნივერსიტეტო, ადგილობრივი მთავრობის თუ ცენტრალური ხელისუფლების მიერ გამოცხადებულ, საგანმანათლებლო სივრცეში მოქმედი სოციალურ პროგრამების შესახებ ინფორმაციის მოძიებას, დამუშავებას და პორტალზე ატვირთვას;
კ) ახორციელებს ბსუ-ს ადმინისტრაციის შეხედულებით სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის საინტერესო სხვა საკითხებისა და სიახლეების შესახებ ინფორმაციის დამატებას/წაშლას.“

2. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (კოდიფიცირებული ,,ბსუ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვისა და ოფიციალური ვებგვერდის ადმინისტრირების წესი განთავსდეს ,,საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტების ველში“).
3. ბრძანება აღსასრულებლად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და პერსონალს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ჯემალ ანანიძე